



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

ქ. ოზურგეთი

27 მარტი 2015 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №21

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების საწვავით უზრუნველყოფისათვის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 5 იანვრის N1 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად გამოსაყენებელი მუნიციპალური ან პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფა განხორციელდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის „საქონლისა და მომსახურების“ მუხლიდან, შემდეგი ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში:

- ა) საკრებულოს თავმჯდომარე - 450 (ოთხასორმოდდაათი) ლიტრი;
- ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - 300 (სამასი) ლიტრი;
- გ) განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - 120 (ასოცი) ლიტრი;
- დ) აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - 120 (ასოცი) ლიტრი;
- ე) სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - 120 (ასოცი) ლიტრი;

- ვ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე -120 (ასოცი) ლიტრი;
- ზ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე 120 (ასოცი) ლიტრი;
- თ) ლეგალიზაციის კომისია 140 (ასორმოცი) ლიტრი;
- ი) ფრაქცია „ქართული ოცნება, დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - 120 (ასოცი) ლიტრი;
- კ) ფრაქცია „კოალიცია ქართული ოცნება - რესპუბლიკელები“- ს თავმჯდომარე - 80 (ოთხმოცი) ლიტრი;
- ლ) ფრაქცია „ძლიერი სოფელი“-ს თავმჯდომარე -80 (ოთხმოცი) ლიტრი;
- მ) ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი“-ს თავმჯდომარე- 80 (ოთხმოცი) ლიტრი;
- ნ) ფრაქცია „ჩვენი ოზურგეთი“-ს თავმჯდომარე- 80 (ოთხმოცი) ლიტრი;
- ო) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე - 80 (ოთხმოცი) ლიტრი;
- პ) საკრებულოს აპარატის უფროსი- 130 (ასოცდათი) ლიტრი;
- ჟ) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე -70 (სამოცდათი) ლიტრი;
- რ) განყოფილების უფროსს თითოეულს - 30 (ოცდაათი) ლიტრი;

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი.სიორიძის ქუჩა N 14, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე:

დავით დარჩია